



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 32

27/03/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თერჯოლის პატრიოტები“-ს რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30 მუხლის, და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2018 წლის 26 მარტის №2 დასკვნის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 მარტის ბიუროს სხდომის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „თერჯოლის პატრიოტების“ დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში 2018 წლის 26 მარტიდან.

მუხლი 2. განკარგულება გაეზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯარო სამსახურის ბიუროს და ხვიჩა წკეპლამეს - ფრაქცია „თერჯოლის პატრიოტების“ თავმჯდომარეს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო